ავიაცია Gulf AVIATION

შპს პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია
PETROCAS FUEL SERVICES GEORGIA LLC

07-22/203

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
27 07 2022 წ.
№ 3571

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ თქვენი 2022 წლის 8 ივნისის N21/2323 წერილის შესაბამისად კორექტირებულ, ქ. თბილისში, აეროპორტის გზის მარცხენა მხარეს არსებული შპს ,,პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიას" 5500მ³ ტევადობის ნავთობბაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გზშ-ის ანგარიშს, რომელიც ითვალისწინებს 20 000 ტონა წლიური ტვირთბრუნვის გაზრდას 60 000 ტ წლიურ ტვირთბრუნვამდე.

აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 19 ოქტომბრის N2-925 ბრძანებით გაცემულია სკოპინგის დასკვნა N81 (06.10.2020).

ამასთან გაცნობებთ, რომ სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილის თანახმად, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების ფუნქციონირებისთვის ზონის ცვლილება, შენობა-ნაგებობების ფუნქციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, არ არის სავალდებულო. ვინაიდან ნავთობბაზაზე იგეგმება მხოლოდ ტვირთბრუნვის ზრდა და რაიმე სახის ინფრასტრუქტურული ან სხვა ცვლილებები ტერიტორიაზე დაგეგმილი არ არის, მიწის ნაკვეთის ფუნქციური ზონის ცვლილება საჭირო არ არის (იხ. წერილი დანართის სახით).

სკოპინგის დასკვნის პირობების და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" შესაბამისად, წარმოგიდგენთ ამავე კოდექსის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ დოკუმენტაციას:

მის: ჭავჭავაძის გამზირი 34, 0179 ; თბილისი, საქართველო
Address: Chavchavadze 34, 0179; Tbilisi, Georgia

1. პროექტის გზშ-ის ანგარიში;
2. პროექტის ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი;
3. არატექნიკური რეზიუმე;
4. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
5. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
6. მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
7. საქმიანობის განხორციელების ადგილის shp ფაილები;
8. სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილი.

ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები წარმოდგენილია როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით.

შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიას“ დირექტორი

პატივისცემით,

ლაშა გვეტაძე